საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონი თამარ,

გაცნობებთ, რომ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხის მიმდებარედ („კოწახურას ჭალა") შპს „საბადო" ექსპლუატაციას უწევს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელ საწარმოს. საწარმოო ტერიტორიაზე განთავსებულია ორი (მცირდე და დიდი ზომის) სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი და დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტები.

საწარმოო ტერიტორიაზე განთავსებული ორი ტექნოლოგიური ხაზიდან დიდი ზომის სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი მოწყობილია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' ამოქმედებამდე და გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტს დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენს, ხოლო მცირე ზომის ახალი სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი მოწყობილია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით'' განსაზღვრული პროცედურის გავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე. საწარმოო ობიექტზე არსებულ დიდი ზომის სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში შეთანხმებულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ (25/10/2022; N21/6075).

2022 წლის 25 ნოემბერს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს ,,საბადოს" საწარმოს შემოწმება. ინსპექტირების შესაბამისად გამოვლენილ სამართალდარღვევებზე შედგენილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ექვსი ოქმები.

აღნიშნული გარემოების, მათ შორის სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევის (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილის) საფუძველზე შემუშავდა სკრინინგის ანგარიში, რომელიც თანხვედრაშია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით'' განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

გარემოს ეროვნული სააგენტო
„17" 03 2023
№ 2261

დანართი:

1. შპს „საბადო“-ს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელ საწარმოს სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია (PDF)
2. უახლოესი მოსახლის თანხმობა (PDF)
3. SHP ფაილები

პატივისცემით,

შპს „საბადო“-ს დირექტორი: /გიორგი მექანარიშვილი/
15.03 2023